

შპს ტექინჟინერინგ ჯგუფი

ს/კ: 204 540 620

2024 დასრულებული წლის ანგარიშგება

ინდივიდუალური

თბილისი, ქეთევან წამებულის 41

2025 წლის 07 თებერვალი

შპს ტექნიკური ჯგუფი - ინდივიდუალური


სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის

	შენიშვნა	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
ამონაგები	4	6,320,892.01	3,963,508.28	5,958,254.95
ფინანსური შემოსავლები	-	74.50	1,267.78	1,163.39
სხვა შემოსავალი	5	47,277.82	19,055.27	65,485.94
გამოყენებული ნედლეული და მასალები	-	-4,066,480.34	-2,150,434.18	-3,540,844.64
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა	-	-1,168,091.79	-1,170,052.99	-1,329,175.51
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	-	-61,969.82	-75,001.81	-73,778.43
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	0.00	0.00	0.00
სხვა ხარჯები	6	-676,978.44	-747,711.68	-710,489.51
ფინანსური დანახარჯები	7	-7,594.55	-1,255.12	-21,280.37
მოგება დაბეგვრამდე	-	387,129.39	-160,624.45	349,335.82
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0.00	0.00	0.00
მიმდინარე წლის მოგება	-	387,129.39	-160,624.45	349,335.82

საწარმოს დირექტორი

ნუგზარ არსენიშვილი



**შპს ტექნიკური ინჟინერინგ ჯგუფი - ინდივიდუალური
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრისათვის**

		2022	2023	2024
		1 ლარი	1 ლარი	1 ლარი
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	-	171,597.67	419,706.58	166,405.46
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,088,523.09	493,060.63	2,243,642.22
წინასწარ გადახდილი გადახდები	10	959,307.79	960,525.71	1,185,426.56
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	11	3,526,558.56	4,263,765.39	4,395,117.34
		5,745,987.11	6,137,058.31	7,990,591.58
გრძელვადიანი აქტივები				
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	12	192,383.46	192,383.46	-
ძირითადი საშუალებები	13	217,250.09	187,245.59	163,784.39
არამატერიალური აქტივები	-	-	-	-
	-	409,633.55	379,629.05	163,784.39
სულ აქტივები		6,155,620.66	6,516,687.36	8,154,375.97
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	14	5,249,682.06	6,304,725.59	8,000,406.12
გადასახდელი სესხები	-	167,078.62	-	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	-	-	-	-
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	-	20,600.00	-	-
		5,437,360.68	6,304,725.59	8,000,406.12
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	16	-	-	-
გრძელვადიანი რეზერვები	18	-	-	-
გადავადებული მოგების გადასახადი	15	-	-	-
	-	0.00	0.00	0.00
სულ ვალდებულებები		5,437,360.68	6,304,725.59	8,000,406.12
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	17	200.00	200.00	200.00
გაუნაწილებელი მოგება	-	718,059.98	211,761.77	153,769.85
		718,259.98	211,961.77	153,969.85
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		6,155,620.66	6,516,687.36	8,154,375.97
		-	-	-

საწარმოს დირექტორი
ნუგზარ არსენიშვილი

შპს ტექნიკური ჯგუფი - ინდივიდუალური


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის

	შენიშვნა	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
მომსახურებიდან შემოსულობები	-	-	813,652.73	960,355.64
მიწოდებიდან შემოსულობები	-	6,928,978.56	4,817,350.81	7,674,551.50
სხვა შემოსულობები	-	1,150.00	2,400.00	20,414.29
გაცემული ხელფასები	-	(773,682.15)	(1,044,006.61)	(1,104,117.67)
გადახდილი გადასახადები	-	(1,451,787.62)	(1,016,085.92)	(1,651,797.85)
გაცემული მომწოდებლებზე	-	(4,298,397.16)	(2,706,463.56)	(5,683,898.94)
გაცემული საქვეანგარიშო პირზე	-	(81,404.74)	(109,432.66)	(126,012.71)
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	-	-	-
საბანკო მომსახურების ხარჯი	-	(16,637.72)	(25,399.34)	(36,874.16)
სხვა ხარჯები	-	-	-	(1,876.49)
გადაფასების შედეგები	-	(17,724.30)	(6,991.95)	10,322.50
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-	290,494.87	725,023.50	61,066.11
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალების შეძენა	-	(131,975.86)	(44,997.31)	(50,317.23)
ძირითადი საშუალების გაყიდვა	-	-	-	-
ინვესტირება შვილობილ საწარმოში	-	-	-	-
მიღებული დივიდენდი	-	-	-	-
მიღებული პროცენტები	-	74.54	1,267.78	1,163.39
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(131,901.32)	(43,729.53)	(49,153.84)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
საწესდებო კაპიტალის შემოტანა	-	-	-	-
ნასესხები სახსრების შემოსვლა	-	611,806.76	-	69,711.84
სესხების გადახდა	-	(493,465.09)	(165,171.30)	(72,019.55)
პროცენტის გადახდა	-	(23,895.44)	(1,255.12)	(127,407.44)
გაცემული დივიდენდები	-	(182,954.22)	(266,758.64)	(135,498.24)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	(88,507.99)	(433,185.06)	(265,213.39)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	-	101,512.11	171,597.67	419,706.58
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	-	171,597.67	419,706.58	166,405.46
		70,085.56	248,108.91	(253,301.12)
		70,085.56	248,108.91	(253,301.12)

საწარმოს დირექტორი


ნუგზარ არსენიშვილი



შპს ტექნიკური ჯგუფი - ინდივიდუალური
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის

შენიშვნა		საწესებო კაპიტალი		აკუმ. მოგება
		1 ლარი		1 ლარი
კაპიტალი 2023 წ. 31 დეკემბრით		200.0		718,060.0
პერიოდის მოგება/ზარალი	-	-	-	160,624.45
პერიოდის დივიდენდები	-	-	-	349,101.25
პერიოდის რეზერვების მოძრაობა	-	-	-	3,427.47
პერიოდში დამფუძნებლის შემონატანი	-	-	-	-
კაპიტალი 2024 წ. 31 დეკემბრით		200.0		211,761.8
პერიოდის მოგება/ზარალი	-	-	-	349,335.82
პერიოდის დივიდენდები	-	-	-	406,045.46
პერიოდის რეზერვების მოძრაობა	-	-	-	1,282.33
პერიოდში დამფუძნებლის შემონატანი	-	-	-	-
კაპიტალი 2024 წ. 31 დეკემბრით		200.0		153,769.8

საწარმოს დირექტორი
ნუგზარ არსენიშვილი



**შპს ტექნიკური ჯგუფი - ინდივიდუალური
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები
2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ტექნიკური ჯგუფი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. თბილისი ქეთევან წამებულის 41. მისი ძირითადი საქმიანობაა ლიფტების, ესკალატორებისა და პლატფორმების იმპორტი, მიწოდება, მონტაჟი და ექსპლუატაცია, ასევე მასთან დაკავშირებული სერვისები სხვა საქმიანობებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში.

ინვესტიციები შეიღობილ საწარმოებში

შეიღობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

შეიღობი საწარმოში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც რეალურად მიიღება დივიდენდები. იგი აისახება სხვა შემოსავლის მუხლში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სამონტაჟო მომსახურებების შემოსავლები აისახება როცა საწარმო შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ყველა ვალდებულებას;

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები და შემოსავალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი ესტონური მოდელის შესაბამისად საწარმო არ აღრიცხავს მოგების გადასახადის ვალდებულებას, სანამ არ მოხდება ამ მოგების დივიდენდად განაწილება (განაწილებად ასევე შეიძლება ჩაითვალოს რიგი სხვა განაცემებიც). შესაბამისად გაუნაწილებელ მოგებაში ასახულია როგორც პარტნიორების წმინდა მოგება ასევე მოგების გადასახადი 15%.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი მომსახურების პერიოდები:

შენობა-ნაგებობების კეთილმოწყობა	6 წელი
მანქანა-დანადგარები	3 წელი
ოფისის არჭურვილობა	5 წელი
ავეჯი ინვეტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და შეიღობი საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით.

თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი მეთოდის“ გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი და შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში და შემოსავლებში.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

ჯგუფის მიერ გაყიდულ საქონელს ახლავს გარანტია, რომ მას გარკვეული წლის განმავლობაში არ აღმოაჩნდება საწარმოო წუნი. საქონლის წუნის გამოსწორებას, ან გამოცვლას ჯგუფი ახორციელებს საკუთარი შეხედულებისამებრ. მიუხედავად ამისა არ იქმნება ანარიცხები საგარანტიო ვალდებულების სავარაუდო დანახარჯებისათვის.

პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

საწარმოს არანაირი პირობითი აქტივი და ვალდებულება არ აქვს ასახული ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშში.

4. ამონაგები

შემოსავალი პროექტებიდან (მონტაჟიდან)
 შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან
 შემოსავალი ექსპლოატაციის სერვისიდან
 შემოსავალი სხვა მომსახურების

2022	2023	2024
1 ლარი	1 ლარი	1 ლარი
5,584,742.76	2,545,235.79	4,590,990.67
62,762.92	328,902.73	499,573.66
639,951.76	728,068.07	833,265.19
33,434.57	361,301.69	34,425.43
6,320,892	3,963,508	5,958,255

5. სხვა შემოსავალი

კურსთაშორის სხვაობების შემოსავლები
 სადაზღვეო შემოსავალი
 საგარანტიო ხარჯების კომპენსირება
 უკან დაბრუნებული პენსია
 გამოვლენილი ზედმეტობა
 ვალის პატიებიდან შემოსავლები
 საშემოსავლოს შეღავათი (კოვიდ-19)
 ძირითადი საშუალების რეალიზაცია

2022	2023	2024
1 ლარი	1 ლარი	1 ლარი
1,589.06	10,011.77	37,645.81
1,150.00	2,702.45	585.53
27,191.23	3,078.70	25,226.74
-	-	-
17,347.53	3,262.35	-
-	-	2,029.86
-	-	-
-	-	-
47,277.82	19,055.27	65,487.94

6. სხვა ხარჯები

შემდეგი მუხლები აღიარებულ იქნა სხვა ხარჯად მოგების განსაზღვრისას:

	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
საპენსიო შენატანის ხარჯი	15,090.73	19,422.08	28,503.11
საიჯარო ქირა	97,362.63	104,353.69	99,987.24
სამივლინებო ხარჯი	71,795.36	83,515.93	33,181.29
კომუნიკაციის ხარჯი	13,885.73	14,531.95	15,104.67
კომუნალური ხარჯი	7,994.31	6,559.64	8,014.42
ტრანსპორტირების ხარჯი	18,974.22	19,782.09	-
ტექნიკური მომსახურებები	118,296.05	162,742.53	149,915.23
სამეურნეო ხარჯი	5,798.66	16,002.29	21,896.35
საწვავის ხარჯი	91,099.52	67,705.93	80,304.28
რემონტის ხარჯი	-	-	-
ავტომობილის რემონტი	31,405.34	39,574.36	44,249.61
საკონსულტაციო ხარჯი	7,457.60	11,227.08	11,227.08
სარეკლამო ხარჯი	16,585.22	20,654.25	32,495.66
საგადასახადო ხარჯი	3,294.92	38,130.41	21,126.96
ბანკის საკომისიო ხარჯი	18,225.28	14,038.43	36,955.78
ბანკის საგარანტიო ხარჯი	61,513.85	9,692.79	-
დაზღვევის ხარჯები	8,214.17	13,394.26	16,334.54
სხვა ხარჯი	41,338.09	96,746.46	95,731.40
წარმომადგენლობითი ხარჯი	25,477.35	9,637.51	15,461.89
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	-	-	-
გადაფასების ზარალი	23,169.45	-	-
	676,978.48	747,711.68	710,489.51

7. ფინანსური ხარჯები

სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი, ასევე საგარანტიო თანხებზე დარიცხული ფინანსური ხარჯი

8. მოგების გადასახადის ხარჯი

გამომდინარე იქიდან რომ საწარმო მოქცეული ესტონური მოდელის მოქმედების ქვეშ, მოგების გადასახადი გადაიხდება მაშინ როცა მოხდება მოგების განაწილება პარტნიორებზე, შესაბამისად მოგების გადასახადის ხარჯი არაა აქტუალური საწარმოსათვის. მაგრამ გასათვალისწინებელი ის რომ მოგების გადასახადი 15% ასახულია გაუნაწილებელ მოგებაში.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2023	2024
	1 ლარი	1 ლარი	1 ლარი
სავაჭრო დებიტორები	283,131.39	327,996.66	366,887.72
გაცემული ავანსები მომწოდებლებზე	805,391.70	145,882.17	1,750,729.88
სატენდერო დეპოზიტები/საგარანტიო თანხები	530.45	6,348.45	88,224.60
წინასწარ გაცემული ხელფასი	14,848.00	3,390.00	16,044.40
საქვეანგარიშო პირზე გაცემული თანხები	-	9,443.35	21,755.62
	1,103,901.54	493,060.63	2,243,642.22

10. გადასახადის აქტივი

აღრიცხულია კლინტებიდან მიღებულ საავანსო ჩარიცხვებზე დარიცხული დღგ-ის თანხა, რომელიც ამოიწურება იმ შემთხვევაში როდესაც საწარმო ყველა მიღებულ ავანსს შეასრულებს და დასრულებულ სამუშაოში გადაიტანს.

11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2022	2023	2024
	1 ლარი	1 ლარი	1 ლარი
ნედლეული და მასალები	39,845.25	8,914.11	9,354.13
დაუმთავრებელი წარმოება	2,799,519.49	3,866,261.77	3,998,011.42
მზა პროდუქცია	639,893.43	338,180.09	324,120.00
საგამოყენო საქონელი	7,215.57	7,215.57	7,215.57
საგარანტიო საქონელი	24,718.61	26,137.42	33,796.57
სპეც ტანსაცმელი	11,638.53	14,422.23	15,872.81
დროებით სარგებლობაში	-	-	-
საწვავი	3,727.68	2,634.20	6,746.84
	3,526,558.56	4,263,765.39	4,395,117.34

* საწარმოსათვის მზა პროდუქციის და ნედლეულის გამიჯვნა პირობითია, ერთი და იგივე საქონელმა შესაძლოა ორივე ფუნქცია შეასრულოს.

12. ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

ჯგუფი ფლობდა 50 პროცენტ წილს შვილობილ საწარმოში, რომლის აქციები საჯაროდ არ იყიდება. ჭლის მანძილზე მოხდა აღნიშნული წილის დათმობა საწარმოს პარტნიორებზე. ღაც აისახა როგორც დივიდენდის გატანა საწარმოდან.

	2022	2023	2024
	1 ლარი	1 ლარი	1 ლარი
განხორციელებული ინვესტიცია (თვითღ.)	-	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-	-

13. ძირითადი საშუალებების მოძრაობა

	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
შემოსვლა მანქანა-დანადგარი	44,116.02	6,062.31	-
გასვლა	-	-	-
ცვეთა	(15,609.08)	(18,231.24)	-
ცვეთის გასვლა	-	-	(50,428.53)
საბოლოო ნაშთი	62,597.45	50,428.52 -	0.01
შემოსვლა აღჭურვილობა	10,808.97	19,361.01	29,817.23
გასვლა	-	-	-
ცვეთა	(9,407.98)	(13,511.59)	(32,184.10)
ცვეთის გასვლა	-	-	50,428.53
საბოლოო ნაშთი	26,352.75	32,202.17	80,263.83
შემოსვლა აგეჯი/ინვენტარი	765.25	2,373.99	-
გასვლა	-	-	-
ცვეთა	(3,139.26)	(2,986.22)	(2,799.81)
ცვეთის გასვლა	-	-	-
სხვა (გადანაწილება)	-	-	(39.56)
საბოლოო ნაშთი	7,423.67	6,811.44	3,972.07
შემოსვლა ტრანსპორტი	75,945.00	17,200.00	20,500.00
გასვლა	-	-	-
ცვეთა	(29,383.79)	(35,824.13)	(34,328.29)
ცვეთის გასვლა	-	-	-
საბოლოო ნაშთი	108,389.72	89,765.59	75,937.30
შემოსვლა კეთილმოწყობა	340.62	-	-
გასვლა	-	-	-
ცვეთა	(4,429.71)	(4,448.63)	(4,466.23)
ცვეთის გასვლა	-	-	-
სხვა (გადანაწილება)	-	-	39.57
საბოლოო ნაშთი	12,486.49	8,037.86	3,611.20
საბალანსო ღირებულება	217,250.08	187,245.58	163,784.39
31 დეკემბერი, 20XX წ.			

14. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებებში არის შემდეგი სახის მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
სავაჭრო კრედიტორები	28,843.67	30,362.90	33,593.70
მიღებული აგანსები	5,217,701.05	6,272,675.69	7,966,812.42
დასაბრუნებელი საქონლის ვალდებულება	3137.34	1,687.00	-
	5,249,682.06	6,304,725.59	8,000,406.12

სავაჭრო ვალდებულებებში არის მხოლოდ ანგარიშგების ვალუტაში ნომინირებული.

ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით ქონდა აღებული საოფისე და სასაწყობე ფართი წლის მანძილზე, ასევე ავტომობილები. სასაწყობე იჯარის და ავტომობილის იჯარის საშუალო ვადა ერთი წელია, ხოლო საოფისე ფართის საშუალო ვადა არის 2 წელი, ამ ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

მიმდინარე წელს ხარჯებად აღიარდა 99 987,24 ლარი, ხოლო საიჯარო ვალდებულებები წლის დასაწყისში იყო 14 350 ლარი და ბოლოსათვის კი 24 100 ლარი.

	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
სასაწყობე ფართი			
საწყისი ნაშთი	300.00	1,200.00	9,800.00
დარიცხვა	4,500.00	4,500.00	14,669.52
საბოლოო ნაშთი	1,200.00	600.00	16,500.00
საოფისე ფართი			
საწყისი ნაშთი	21,850.89	5,958.91	2,151.52
დარიცხვა	86,925.13	95,853.69	81,693.23
საბოლოო ნაშთი	5,958.91	14,743.95	4,792.89
ავტომობილის			
საწყისი ნაშთი	1,375.00	1,300.00	2,400.00
დარიცხვა	5,937.50	4,000.00	3,625.00
საბოლოო ნაშთი	1,300.00	1,200.00	2,800.00

15. გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი წარმოიქმნება ესტონური მოდელიდან გამომდინარე, კერძოდ მოგების ვალდებულება მოგების განაწილების დროს და არა მოგების გამომუშავების პერიოდში, პერიოდის კუტვნილი მოგების გადასახადი 15% შეეყვანილია გაუნაწილებელ მოგებაში და მის ნაწილს წარმოადგენს.

16. სესხები

საწარმოს პერიოდის დასაწყისიდან აიღო და დაფარა ბანკის საგარანტიო თანხები

წლის მანძილზე საგარანტიო თანხებზე პროცენტის სახით გადახდილია 21 280 ლარი.

17. სააქციო კაპიტალი

2023 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 200 ლარს, რომელიც შედგება სრულად ანაზღაურებული წილისაგან. წილებში რაიმე სახის ცვლილება არ მომხდარა.

18. გრძელვადიანი რეზერვები

ესაა საექვო დებიტორული დავალიანებების რეზერვი, რომელიც შექმნილია კონკრეტული დებოტორებისათვის, და რომელსაც საწარმოს მენეჯმენტი მიიჩნევს რომ არის ძნელად ამოსადები. თუმცა ამ დებიტორებზე არაა აღსრულების პროცედურა დაწყებული.

პირობითი ვალდებულებები

საწარმოს არ ერიცხება რაიმე პირობითი ვალდებულება, ის არ იმყოფება დავაში ან არ შესულა ისეთ თავდებობაში რომ გაეჩინა მოლოდინი რაიმე სახის ზარალის, გარანტიის ანაზღაურებაზე. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების მომენტამდე არ გამოვლენილა ასეთი სავარაუდო ვალდებულების შესახებ რაიმე ნიშნები ან ცნობები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საწარმოში არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები რაომელიც საჭიროებს დამატებით ასახვას ან განმარტებას შენიშვნებში. არ დამტკიცებულა კაპიტალის შევსება ან შემცირების მოუხდენია ძირითადი საშუალებების შეძენა ან ჩამოწერა.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

პარტნიორებმა და კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 1 მარტს.

საწარმოს დირექტორი

ნუგზარ არსენიშვილი

